



დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

თვითშეფასების ანგარიში

(2015-2016 სასწავლო წელი)

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015-2016 სასწავლო წლის საანგარიშო პერიოდის თვითშეფასების ანგარიში

I შესავალი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) სამსახურმა უნივერსიტეტის ინსტიტუციური თვითშეფასების სამუშაო გეგმის შემუშავებისთვის (იხ. ხუ-ის სამსახურის ოქმი) საფუძვლად დაუდო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემდეგი მოსაზრებების გამო:

- 1) ხარისხის უზრუნველყოფის „სამიზნეების“ განსასაზღვრად
- 2) „სამიზნეებთან“ მიმართებაში არსებული მდგომარეობის აღსაწერად
- 3) დოკუმენტით (სტრატეგიული განვითარების და წინამდებარე დოკუმენტით) განსაზღვრულ მიზნის მისაღწევი სტრატეგიების და მიღწეული შედეგების შეფასებისთვის (ძლიერი და სუსტი მხარეები)
- 4) ეფექტური სტრატეგიების მიხედვით მუშაობის გაგრძელებისა და ახალი სტრატეგიების მოძიებისთვის კვლევის შედეგებით დასაბუთებული საფუძვლების შესაქმნელად
- 5) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ახალი დოკუმენტის (2016-2017 სასწ. წ.) შემუშავების ხელშეწყობა

ზ/ა სამუშაო გეგმის რეალიზაციისთვის ხუ-ის სამსახურმა შექმნა ხარისხის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თ. თალაკვაძე, ლ. ნადაშივილი, ა. ნადირაძე. (იხ. ხუ-ის სამსახურის ოქმი).

უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასების თითოეული ასპექტი ანგარიშში მოცემულია შემდეგი ფორმით:

- მიზნის აღწერა
- მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა
- ჩატარებული აქტივობების შეფასება

II ხარისხის უზრუნველყოფის/განვითარების სამიზნეები

1. სწავლების ხარისხი
2. კვლევის ხარისხი
3. ადამიანური რესურსის ხარისხი
4. ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის ხარისხი
5. კოლაბორაცია

6. ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება
7. ინფრასტრუქტურა და გარემო
8. სტუდენტთა ჩართულობა/მონაწილეობა
9. გამოცდილების ინტერნაციონალიზაცია
10. საზოგადოებასთან ურთიერთობები
11. ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე პოზიციების დამკვიდრება
12. ხარისხის კულტურა.

III კვლევის ხერხები

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის შერჩეული იქნა ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა, მასში ჩართული იქნა აკადემიური საზოგადოების წევრები (აკადემიური პერსონალი და სტუდენტები), ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სხვა დაინტერესებული პირები. ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა:

რა	როდის
- ანგარიშები, პირველადი მონაცემები და სხვა დოკუმენტაცია	- საანგარიშო პერიოდი
- დაკვირვება	- საანგარიშო პერიოდი
- რევიზირება	- საანგარიშო პერიოდი
- ოფიციალური გარე შეფასება	- საანგარიშო პერიოდი
- კითხვარები	- საანგარიშო პერიოდი
- მიღებული შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის დასაწერად	- საანგარიშო პერიოდი

IV ხარისხის შეფასების მეთოდოლოგია

ხარისხის შეფასების მეთოდოლოგია მოიცავდა ხარისხის შეფასების მიზანთან შესაბამისად არსებული სიტუაციის აღწერას, ჩატარებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას დაფუძნებულს ხარისხის ინდიკატორებსა, ჩატარებულ სამუშაოსა და მტკიცებულებებზე

V დტსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თვითშეფასების ანგარიში ხარისხის განსაზღვრული სამიზნეების მიხედვით

V – 1 სწავლების ხარისხი

მიზნის აღწერა

ამ ნაწილში უნივერსიტეტის საქმიანობა გულისხმობდა პროგრამათა განვითარებასა და ინტეგრაციის ხარისხის ზრდას. მიზნის მისაღწევი დაგეგმილი სტრატეგიების განსახორციელებლად. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო დტსუ-ს და მისი შტატის ჩართულობა 2 საერთაშორისო პროექტში:

„Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ (15-10-2012 -31-01-2016);

„Project Actors Capacity Training in Caucasus“ (TEMPUS project number 544047-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPGR; 01-12-2013- 29-02-2016);

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

- 1) ჩატარდა არსებული პროგრამების რევიზირება, ახალი პროგრამების შემუშავება:
 - ✓ დიპლომირებული მედიკოსის (დმ) პროგრამის რევიზირება, მათ შორის საერთაშორისო კონტექსტში (შედარდა სხვა ქართულ, უკრაინისა და ყაზახეთის უნივერსიტეტებში არსებულ პროგრამებს, ასევე სენტ-ჯორჯის უნივერსიტეტის დმ პროგრამას), განისაზღვრა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და განვითარების შესაძლებლობები (იხ. „Quality Report“ გვ: 22-28); შეიქმნა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ახალი დმ-ის პროგრამა (იხ. დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს პროგრამა), რომელმაც წარმატებით გაიარა აკრედიტაცია, ჰყავს სტუდენტები; ჯგუფის (კურიკულუმის განვითარების კომიტეტი) მიერ ჩატარებული სამუშაო უმაღლესი ქულით შეფასდა ერაზმუს+-ის ნაციონალური სააგენტოს მიერ (იხ. ანგარიში); სამედიცინო დარგში სწავლების/სწავლის საქართველოსთვის ინოვაციური მეთოდის მიმართ მაღალია ქართული აკადემიური საზოგადოების ინტერესი (იხ. ISE-1 - კონსესუს დოკუმენტი)
 - ✓ სადოქტორო სწავლების სასწავლო კურსში მოხდა რიგი კურსების რევიზირება და განვითარება, ახლის შემუშავება: რევიზირდა კურსები პედაგოგიკაში (იხ. ახალი სილაბუსი) და ფსიქოლოგიაში (იხ. ახალი სილაბუსი); „Project Actors Capacity Training in Caucasus“ -ის პროექტის ფარგლებში შემუშვდა სასწავლო კურსის „Successful Project Development“ კურიკულუმი, დაიწერა სახელმძღვანელოები, მათ შორის დტსუ-ს შტატის მონაწილეობით: მოხდა კურსის პილოტირება PhD სტუდენტების ნაწილთან (იხ. კურიკულუმი, სახელმძღვანელოები); კურსის მიმართ მაღალია საერთაშორისო და ქართული აკადემიური საზოგადოების ინტერესი (იხ. ISE-1 - კონსესუს დოკუმენტი).
- 2) პროგრამათა შინაარსის სწავლის მოსალოდნელ შედეგებზე ორიენტაციის გაზრდა:
 - ✓ დმ-ის პროგრამებში სწავლების შინაარსი „გამდიდრდა“ სწავლის შედეგების ისეთ მნიშვნელოვან შედეგებზე ფოკუსირებით როგორცაა (i) კვლევის (და მასთან

დაკავშირებული) უნარები; (ii) კლინიკური განსჯისა (ინტელექტუალური უნარები) და სხვა კლინიკური უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.

- (i) კვლევის და მასთან დაკავშირებული უნარები: PACT-ის პროექტის ფარგლებში კურსი დმ-ის სტუდენტებისთვის (იხ. აგრეთვე ქვემოთ) „პროექტის წერა და დიზაინი“; კურსს აქვს კურიკულუმის კომიტეტის რეკომენდაცია (იხ. კურიკულუმის კომიტეტის და ხუ ოქმები) დმ-ის პროგრამაში ჩართვის, მოხდა (2015-2016 სასწ. წ.) მისი პილოტირება (იხ. ანგარიშში PACT-ის WP-5-ზე);
 - (ii) კლინიკურ უნარებთან დაკავშირებით კვლევის შედეგები (იხ. ანგარიშები)
- 3) კურიკულუმის დიზაინის სწავლის შედეგების ირგვლივ სტრუქტურირება:
კურიკულუმის შინაარსის და დიზაინის ნებისმიერი მოდერნიზაცია სწავლის მისაღწევი შედეგების ირგვლივ სტრუქტურირებას მოითხოვს; ამასთან დტსუ დმ-ის პროგრამის მოდერნიზაციის მიზანი (დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს პროგრამა) იყო უფრო მეტად პერსონალიზირებული, კომპეტენციებსა და რეალურ კლინიკურ პრაქტიკისთვის ადაპტირებული სწავლების შეთავაზება (მეტი დეტალებისთვის იხ. დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს პროგრამა); კურიკულუმის დიზაინი, მასში მისაღწევი სწავლის შედეგების სპირალური ორგანიზების აღწერა და შეფასება მოცემულია „Quality Report“-ში (იხ. „Quality Report“ გვ. 33, 41-42) ასევე მოხსენებულია რიგ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე (იხ. მოხსენებები და პრეზენტაციები PBL თემაზე)
- 4) სწავლის მოსალოდნელი შედეგების (კომპეტენციების მისაღწევად სწავლების ადექვატური (ინოვაციური) მეთოდების შემუშავება და აკადემიურ პროცესში იმპლემენტაცია:
- ✓ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის უმნიშვნელოვანესია სათანადო და თანამედროვე ცოდნასთან ერთად კლინიკური განსჯის უნარების გამომუშავება, რომლის სწავლება ე. წ. აქტიურ სასწავლო გარემოში უნდა მიმდინარეობდეს. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე სამედიცინო განათლებაში აღიარებულია ავადმყოფის შემთხვევებსა და სამედიცინო პრობლემებზე დაფუძნებული სწავლის და სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა, რაც წარმატებით დაინერგა „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ პროექტის ფარგლებსა და დმ-ის ახალი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რომლის გავრცელება სხვა პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებსა და მის გარეთ დტსუ სამედიცინო განათლების ცენტრის უმათავრესი სტრატეგია იქნება მომავალი რამოდენიმე წლის განმავლობაში.
 - ✓ დიპლომირებული მედიკოსის და სადოქტორო სწავლების პროგრამებისთვის შემუშავდა „პროექტების წერისა და დიზაინის“ ჰიბრიდული კურსი, სწავლების ინტერაქტიული ფორმით (დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, ა. შ.) პირისმიერ და ასევე e-პლატფორმის მეთოდოლოგიით (მათ შორის ინტერაქტიული e-პლატფორმის მეშვეობით) რაც ასევე ახალია ქართული საგანმანათლებლო

სივრცისთვის და სრულიად ინოვაციური დტსუ-თვის (იხ. „პროექტის წერა და დიზაინი“ კურიკულუმი), რომელიც მოხსენდა რიგ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე (იხ. დისემინაციის ანგარიში); და რომელსაც მაღალი შეფასება მისცა აკადემიურმა საზოგადოებამ (იხ. ISE-I-ის კონსესუს დოკუმენტი).

- ✓ სადოქტორო სწავლების პედაგოგიკის სასწავლო კურსის სწავლების ფორმატი შეიცვალა: უფრო ინტერაქტიული და ჯგუფურ მუშაობაზე დაფუძნებული გახდა, ასევე კვლევითი უნარების გამომუშავებაში ეხმარება სტუდენტებს, რამდენადაც გულისხმობს „მცირე“ პროექტების წერასა და მათ ანალიზს. კურსი და მისი შედეგები, მათ შორის შეფასების მიზნით, მოხსენდა რიგ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე (იხ. პრეზენტაციები)

5) სტუდენტისთვის დადებითი შეფასების მისაღებად საჭირო მინიმალური კომპეტენციის იდენტიფიცირება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება ინტეგრირებული შეფასების ახალი ფორმების დანერგვით:

დმ-ის პროგრამებში რევიზირდა შეფასების სისტემა, მასში მოხდა რიგ ზოგად-ტრანსფერულ (ასევე ძალზე მნიშვნელოვანი სამედიცინო პროფესიონალიზმისთვის) კომპეტენციებში მიმდინარე შეფასების ფორმების შემუშავება (იხ. დოკუმენტი), მათი ჩართვა შეფასების საერთო სისტემაში (იხ. დმ-ე-პდს პროგრამა); შეფასების ინტეგრირებული ფორმების დანერგვა, კერძოდ CS-Clinical Skills №5-ში (იხ. ხუ-ის სამსახურის ოქმი №5. 25.05.2016; ასევე სტუდენტთა კვლევის შედეგები); შექმნილია პროექტი (ერაზმუს+-ის CAI-CRS), მათ შორის დტსუ-ში შეფასების ახალი ფორმების „პროგრესის ტესტის“ და „Script Concordance Test“-ის დასაწერად (იხ. განაცხადი CAI-CRS).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

ძლიერი მხარეები:

- დაგეგმილი სტრატეგიების მიხედვით დტსუ-ის შტატის მიერ დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კერძოდ:
 - ✓ მოხდა არსებული პროგრამების რევიზირება ცალკეული კურსის სილაბუსების დახვეწა, მეტიც მოხდა (დტსუ სტრატეგიის 5-წლიანი სამიზნეების კონტექსტში) დმ-ის ახალი პროგრამის შემუშავება;
 - ✓ უნივერსიტეტში განხორციელებულ რიგ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში მოხდა პროგრამის შინაარსის და დიზაინის სწავლის შედეგებზე და კომპეტენციებზე ორიენტაციის ზრდა
 - ✓ შემუშავდა და დაინერგა სწავლების და სწავლის ახალი მეთოდოლოგიები, მეტად ადექვატური სწავლის დაგეგმილი შედეგების მისაღწევად
 - ✓ უნივერსიტეტმა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროგრამებში შემოიტანა შეფასების ახალი ფორმები (PBL-ში; CS-Clinical Skills კურსი; „პროექტის წერა და დიზაინი“)

- ✓ უნივერსიტეტმა აკადემიურ საზოგადოებასთან (პედაგოგები სტუდენტები), სხვა დაინტერესებულ პირებსა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობით შეაფასა სასწავლო პროგრამები და ჩატარებული სამუშაო

სუსტი მხარეები

- ✓ დაგეგმილი სტრატეგიების ნაწილის (შეფასების საკითხში) სრული მოცულობით რეალიზაცია ვერ მოხერხდა დროის სიმცირის გამო; კერძოდ:
 - განხორციელებული ცვლილებების შეფასება მოკლე-ვადიანი შედეგებით და ამჟამად საშუალო- და გრძელ-ვადიან შედეგების შეფასების შეუძლებლობა
 - სტუდენტთა საერთო შეფასების სისტემაში კლინიკურ უნარებსა და ზოგად-ტრანსფერულ (პროფესიულ) კომპეტენციებში შეფასების დაბალი წილი

განვითარების შესაძლებლობები

- ✓ ახალ კურსებსა და დიპლომირებული მედიკოსის ახალ პროგრამაზე მონიტორინგის გაგრძელება მათი ხარისხის გაუმჯობესების, იმპლემენტაციისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნებისთვის
- ✓ კლინიკური განსჯის უნარის გამომუშავებასა და შეფასებაზე გამიზნული პროექტის (CAI-CRS) განხორციელების დაწყება
- ✓ პროგრამებში სამეცნიერო უნარებისა და კლინიკური კომპეტენციების გამომუშავების გაძლიერებასა და მათ შეფასების ახალი ფორმების დანერგვაზე მუშაობის გაგრძელება

V-2 კვლევის ხარისხი

მიზნის აღწერა: უნივერსიტეტის სამეცნიერო გარემოს განვითარება სამეცნიერო-ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების ზრდის მეშვეობით.

მიზნის აღწერა: უნივერსიტეტის სამეცნიერო გარემოს განვითარება სამეცნიერო-ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების ზრდის მეშვეობით. მიზნის მისაღწევი დაგეგმილი სტრატეგიების განსახორციელებლად, მათ შორის მნიშვნელოვანი იყო დტსუ-ს და მისი შტატის, სტუდენტების ჩართულობა „Organization of PhD Education in Biomedicine and Health Science in the European System“-ის მიერ ჩატარებულ აქტივობებსა და ღონისძიებებში, ჩარლზის უნივერსიტეტის გრადუე კრალოვში უკვე ტრადიციად ქცეული დტსუ-ს 2 დოქტორანტის მონაწილეობა PhD სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციებზე, დიპლომამდელ განათლების საფეხურისა და დოქტორანტებისთვის ახალი სასწავლო კურსის მიწოდება პროექტების წერაში ცოდნის გასაღრმავებლად (შემუშავდა“Project Actors Capacity Training in Caucasus“ პროექტის ფარგლებში), სტუდენტების, მათ შორის, კვლევითი იდეების გენერირებისათვის სწავლების

ახალი ფორმატის (პდს და პდს-ის კვირა) დანერგვა; სტუდენტთა კვლევითი გარემოს გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კონცეფციის შემუშავება, დოქტორანტთა კვლევის ხელმძღვანელობაში, ოპონირებისა და ნაშრომთა რეცენზირებაში საერთაშორისო ექსპერტთა ჩართვა, ა. შ.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

1) მეცნიერთა და/ან ინსტიტუციურ დონეზე არსებული საერთაშორისო კავშირების გაღრმავების ხელშეწყობა, კვლევითი პროექტების განსახორციელებლად ახალი პარტნიორების ძიება:

- ✓ „Organization of PhD Education in Biomedicine and Health Science in the European System” შეხვედრებში მუდმივი მონაწილეობა, მის აღმასრულებელ კომიტეტში დტსუ-ს წარმომადგენლის არჩევა (იხ. ანგარიშები; <http://www.orpheus-med.org/index.php/documents-of-orpheus/about-us/orpheus-exec-committee-2>; <http://www.orpheus-med.org/index.php/orpheus-membership>)
- ✓ სადოქტორო სწავლებაში პროგრამების განვითარების შესაძლებლობაზე გამიზნული პროექტის (NNODOC) 1) ჩართულობა და საქართველოს სხვა ინსტიტუციებთან (თსუ, თსსუ, განათლების და მეცნიერების სამინისტრო) თანამშრომლობა პროექტში მათი ჩართვის მიზნით; პროექტის წერაში საკუთარი (დტსუ) წვლილის შეტანა (იხ. პროექტი);
- ✓ სამედიცინო განათლებაში კვლევების განხორციელების მიზნებისთვის უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ძველ პარტნიორებთან (აწსუ, ზაპოროჟიას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი; ასევე იძიებს ახალ პარტნიორებს [ნაციონალური უნივერსიტეტი (ხარკოვი), ნ. ტესტემიციანუს სახ. მედიცინის და ფარმაციის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდოვა), ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (საქართველო) ,სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ერევანი), კაროლინსკას უნივერსიტეტი (შვედეთი), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი); იბოვა ახალი პარტნიორები და ახალი საკვლევო იდეები [იხ. ანგარიში “Research and innovations for healthcare professions 2016”, IGHPE (Innovation in Global Health Professions Education)]

2) 3) სადოქტორო სწავლებაში პროგრამის რევიზირება კვლევითი კომპონენტის მიმდინარეობაზე მონიტორინგის გაძლიერება:

(i) რიგი მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა (იხ. დოკუმენტები) (ii) სადოქტორო კვლევით კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის მიერ პროექტის მომზადებასა და აკადემიურ საბჭოზე წარდგენის პირობების, პროექტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა:

- სადოქტორო კვლევითი პროექტის გზამკვლევი
- „დოქტორანტის გზამკვლევი“

- ახალგაზრდა მკვლევართა სახელმძღვანელოები: “Project Writing and Design” (ინგლისური და ქართული ვერსიები); „A guide – Research proposal made easy”; “PACT project’s interactive online platform usage and administration guide”.
 - (iii) ერთობლივი ხელმძღვანელობით და/ან ოპონირება რეცენზირებით განხორციელდა “კვანტიფერონ-ტბ ოქროს ტესტის სინჯარაში და ტუბერკულოზის კანის სინჯის ინფორმატიულობის შესწავლა ლატენტური ტუბერკულოზური ინფექციის გამოსავლენად ტუბერკულოზის მაღალი რისკის ქართულ პოპულაციაში“ სადოქტორო პროექტის დაცვა;
 - „სწრაფი დიაგნოსტიკური მოლეკულური ტესტის, Xpert TB/RIF, კლინიკური ღირებულების შეფასება ნახველის ნაცხ-უარყოფით, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებში საქართველოში“, „საქართველოში ტუბერკულოზის სამკურნალო ახალი მედიკამენტების დანერგვის გავლენა პაციენტების კლინიკურ გამოსავლებზე და ჯანდაცვის სისტემაზე“ სადოქტორო პროექტის ფარგლებში მონაწილეობენ უცხოელი ექსპერტები
 - (iv) დამკვიდრდა დტსუ-ს დოქტორანტთა რიგებიდან სტუდენტთა (2 გამომსვლელის ქვოტით) მონაწილეობის ტრადიცია გრადუც კრავოვში დოქტორანტთა ეროვნულ ფორუმზე, რომლის შეფასების კომიტეტის რჩევები და შეფასებები მნიშვნელოვანია დტსუ წარმომადგენლებისთვის (International Medical Postgraduate Conference. New Frontiers in the Research of PhD Students. Charles University in Prague Faculty of Medicine in Hradec Kralove), აგრეთვე ახალი “peer” კავშირების დამყარებისთვის.
- 4) დიპლომამდელის განათლების საფეხურის, სწავლის შედეგების კვლევითი კომპეტენციის გამომუშავებისთვის აუცილებელი სწავლების უზრუნველყოფა პროგრამული იმპლემენტაცია:
 - (i) დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტებისთვის შეიქმნა პროექტების წერის ახალი კურსი: „Successful Project Development“ (პროექტის წარმატებით შემუშავების კურსი), რომლის იმპლემენტაციაზე მუშობა მომავალშიც გაგრძელდება (იხ. აგრეთვე ზემოთ ამ დოკუმენტში)
 - (ii) კვლევითი კომპეტენციის გამომუშავებისთვის აუცილებელი გარემოს განვითარებისთვის შეფასდა არსებული კვლევითი რესურსი და შეიქმნა „სამეცნიერო კვლევის საუნივერსიტეტო კონცეფციის“ დოკუმენტი, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენს საფუძველს უნივერსიტეტში მიმდინარე პროგრამების მომავალი განვითარების (კვლევით კომპეტენცია) გეგმის შესამუშავებლად (იხ. ხუ ოქმი №5, 2014-2015 სასწავლო წელი, 26 თებერვალი)
- 5) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის გრანტების მოპოვების ხელშეწყობა:

- მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტმა შეიმუშავა 2 განაცხადი ერაზმუს+ - ის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად “Innovative internationalization of doctoral training in in EU neighbour countries using current best practice” (INNODOC)- Submission number: 573995-EPP-1-2016-1-NO-EPPKA2-CBHE-SP; “Construction of Assessment Instruments Measuring Students’ Knowledge and Clinical Reasoning Skills Development, Focused on the Basic Emergency Medicine Domain of MD Curricula /CAI-CRS” (Submission number: 573597-EPP-1-2016-1-GE-EPPKA2-CBHE-JP) (იხ. პროექტები), რისთვისაც შეიქმნა გრანტებზე მომუშავე ჯგუფები, უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა მათ საჭირო დროითი და ფინანსური რესურსით დაგეგმილ პროექტებში პარტნიორებთან სათანადო კომუნიკაციისთვის (იხ. ანგაშები)

6) უნივერსიტეტის სამეცნიერო გარემოს განვითარება:

- მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტმა დააფუძვნა თავისი ყოველწლიური კონფერენცია **Improving Academic Standards in Education – Conference ISE 2015, October 29-30, 2015.**

ჩატარდა 2 ვორქშოფი:

1. „PBL სესიის ფასილიტაცია“

2. “კვლევაზე დაფუძნებული სწავლების საუნივერსიტეტო კონცეფცია: PBL სარგებელი”

პირველი მათგანი საუნივერსიტეტო შემადგენლობის იყო, რომელმაც უმასპინძლა 15 დელეგატს; კონფერენციამ მონაწილეთა ერთსულოვანი მხარდაჭერით მიიღო კონსესუს-დოკუმენტი, მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის (როგორც მინიმუმ), მისი უნივერსიტეტებისა და მთლიანად საზოგადოების განვითარებისთვის (იხ. ანგარიში და კონსესუს დოკუმენტი)

მეორე ფორუმმა უმასპინძლა ძირითადად სამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სწავლების ინოვაციური მეთოდებით დაინტერესებულ საზოგადოებას. მასში მონაწილეობა მიიღო 50 დელეგატმა. აქ დამსწრე აკადემიურმა საზოგადოებამ ასევე მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღო განათლების ამ დარგში (სამედიცინო განათლება) ქვეყნის განვითარების ანალიზისა და შესაძლებლობების განსაზღვრისათვის (იხ. ანგარიში და კონსესუს დოკუმენტი).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

ძლიერი მხარეები:

- ✓ დიპლომირებული მედიკოსის და სადოქტორო პროგრამის განვითარების ფარგლებში კვლევითი კომპონენტის ეფექტური განხორციელებისთვის უნივერსიტეტის მხრიდან გრძელდება ორგანიზაციული ხელშეწყობა: ახალი შტატის დამატების, მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე სტუდენტთა სახელმძღვანელო ინსტრუქციების რევიზირების, ახალი სასწავლო კურსებისა და დამხმარე ლიტერატურის შექმნის გზით; რაც გამიზნულია კვლევით უნარების გაძლიერებასა და პროგრესზე მონიტორინგის შეფასებაზე.

- ✓ გრძელდება სამეცნიერო კვლევების (და მისი ორგანიზების) დარგში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება „Organization of PhD Education in Biomedicine and Health Science in the European System“ ფარგლებში დტსუ-ს თანამშრომლობით ამ სტრუქტურაში, ასევე მასში შემავალ ინსტიტუციებთან.
- ✓ სამედიცინო განათლებაში კვლევების განხორციელებისთვის უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ძველ პარტნიორებთან, ამყარებს ახალ პარტნიორულ ურთიერთობას, ქმნის და წარადგენს საგრანტო დაფინანსებაზე ახალ პროექტებს.
- ✓ ხელს უწყობს შტატისა და სტუდენტთა განვითარებას მათ მონაწილეობის ფინანსური ხელშეწყობით ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე.
- ✓ უნივერსიტეტი აგრძელებს დტსუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა „სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ასოციაცია“ მიერ დაარსებული კონფერენციების და მასში საერთაშორისო მონაწილეთა ჩართულობის ხელშეწყობას.
- ✓ უნივერსიტეტმა დააფუძვნა დტსუ-ს ახალი (ყოველწლიური) კონფერენციის ფორმატი, ჩაატარა ორი კონფერენცია მის ფარგლებში.
- ✓ გააფართოვა დტსუ სამეცნიერო გარემო ახალ ინსტიტუციებთან (შპს „ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი მზერა“, “წმინდა ლაზარეს კლინიკა”, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, „ალერგოლოგიის და იმუნოლოგიის ცენტრი“, “ნევროლოგიის და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი” “ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი”) და გარკვეულწილად გააღრმავა (შეთანხმების დონეზე) მათთან თანამშრომლობის ფორმატი.

სუსტი მხარეები:

- დტსუ-ს სამეცნიერო გარემოს წევრ ინსტიტუციებთან არასაკმარისი თანამშრომლობა საერთაშორისო დონის კვლევების ჩატარებისთვის აუცილებელი გარემოს და მეცნიერ-მკვლევართა კრიტიკული მასის შესაქმნელად
- კვლევით სფეროში საქართველოს უნივერსიტეტებთან ნაკლების თანამშრომლობა
- აკადემიური შტატის და/ან სტუდენტთა სამეცნიერო კვლევების დაფინანსების ნაკლებობა

განვითარების შესაძლებლობები

- დტსუ-ს სადოქტორო პროგრამისთვის ხარისხის მინიჭების (ორფეუსის სადოქტორო პროგრამული აკრედიტაცია) უზრუნველყოფა
- დტსუ-ს სამეცნიერო გარემოს წევრ ინსტიტუციებთან დაგეგმილი კოლაბორაციის სრული „ათვისება“ და პრაქტიკული რეალიზაცია
- საქართველოს უნივერსიტეტებთან კვლევაში თანამშრომლობის ინიცირება და განვითარება
- კვლევებსა და განვითარებაზე ორიენტირებულ საგრანტო კონკურსებისთვის პროექტების უწყვეტი მომზადება და მონაწილეობა
- დტსუ-ს მიერ კვლევების შესაძლებლობების გაზრდა

V – 3. ადამიანური რესურსი

მიზნის აღწერა

- ამ ნაწილში უნივერსიტეტის საქმიანობა გულისხმობდა არსებული აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობას; ახალი/გამორჩეული რესურსების (შტატი და სტუდენტები) მოზიდვას მიზნის მისაღწევი/დაგეგმილი სტრატეგიები გულისხმობდა მათი ჩართულობის ხელშეწყობას ინსტიტუციური მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრასა და განხორციელებაში; აკადემიური და სხვა შტატისთვის პროფესიული ზრდის შესაძლებლობას; სტუდენტების ჩართულობას და დახმარებას, მათთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და მომავალი პროფესიული საჭიროებისთვის ეფექტური სერვისების შეთავაზების შესაძლებლობა

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

- 1) დტსუ აკადემიური საზოგადოების (პედაგოგები და სტუდენტები) და ადმინისტრაციის ჩართულობა ერაზმუს+-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრაქტიკულად ყველა აქტივობაში, კერძოდ
 - „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“-ის ფორმატში დტსუ-ს ადმინისტრაციული/აკადემიური შტატისა და სტუდენტების ჩართულობა, რაც გულისხმობდა:
 - (i) დიპლომირებული მედიკოსის არსებული პროგრამის რევიზირებას ახალი დიპლომირებული მედიკოსის ე-პდს პროგრამის შემუშავების მიზნით (კურიკულუმის შემუშავების ჯგუფში ჩართული შტატი და სტუდენტები, იხ. კურიკულუმის შემუშავების ჯგუფის ოქმები)
 - (ii) დმ ახალი პროგრამის შექმნასა და აკრედიტაციაში მონაწილეობა (იხ. პროგრამა, თვითშეფასების ანგარიში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება)
 - (iii) საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციისა და ახალი რესურსების შექმნაში მონაწილეობა (იხ. 51 ადაპტირებული ქეისი, ასევე ახალი ქეისები)
 - (iv) დტსუ ჩართლი შტატის სტუდენტთა მოხსენებები განათლების საკითხებზე მიძღვნილ ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებზე (იხ. დანართი პრეზენტაციების ჩამონათვალი)
 - (v) ტექნიკური და ადმინისტრაციული შტატის ჩართლობა სწავლების ახალი მეთოდის ტექნიკურ-ორგანიზაციული მუშობის ხელშეწყობა და „ახალი რესურსების“ აღჭურვილობა, ქეისების ელექტრონული მიწოდება, ა. შ. (იხ. დმ-ეპდს პროგრამა, მისი თვითშეფასების ანგარიში, ასევე პრეზენტაციები).
 - (vi) ყველა ზ/ა აქტივობებში მოსამზადებელი ტრენინგები: სენტ-ჯორჯის უნივერსიტეტის შტატის მიერ და დტსუ სამედიცინო განათლების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგები: კურიკულუმის განვითარებაში, PBL სწავლებაში, PBL ადმინისტრირებაში, PBL ფორმატში სწავლებისთვის

ადექვატური ქეისების წერასა და ადაპტაციაში (იხ. „Quality Control Report“ გვ. 50-51)

- (vii) დტსუ-ში სამედიცინო განათლების ეროვნული ცენტრის დაფუძნება და მასწავლებელთა ტრენინგის კურსების მომზადება PhD პროგრამაში პედაგოგიკაში მოსამზადებელი კურსის განვითარება (იხ. აღნიშნული კურსის სილაბუსი)
- (viii) უნივერსიტეტის ხუ-ის სამსახურმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა საერთაშორისო კონტექსტში კურიკულუმის შეფასების და ზოგადად პროექტების ხარისხის შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებაში (იხ. „Quality Control Plan“, „Quality Control Report“).

უნივერსიტეტის ხელსშეწყობით დტსუ-ს შტატის რესურსი შეივსო კვლევისა - შეიქმნა სათანადო სერვისები (სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება; სამეცნიერო საკონსულტაციო სამსახური) - და სწავლების პროცესის განვითარებისთვის (შეიქმნა ახალი საშტატო ერთეულები: ვიცე დეკანი მეცნიერების დარგში, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელი, სამეცნიერო საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი)

- „Project Actors Capacity Training in Caucasus“ ფორმატში უნივერსიტეტის შტატი გაძლიერდა დმ-ისა და დოქტორანტებისთვის, (ასევე ახალგაზრდა მკვლევარებისთვის) კვლევითი კომპონენტის მიწოდებასა და შეფასებაში ცოდნითა და უნარებით; კერძოდ:
 - (i) შტატი მომზადდა „Successful Project Development“ კურსის ტრენინგად;
 - (ii) მათ მიიღეს ცოდნა და გამოცდილება ე. წ. შერეული (blended) კურსის (იგულისხმება პირისპირ + online სწავლებისა და კომუნიკაციის) წყევანში, (იხ. PACT კურიკულუმი; პროექტის TOT -ში და ტრენინგებში ანგარიშები)
 - უნივერსიტეტის შტატმა შეივსო გამოცდილება საერთაშორისო პროექტების მართვასა და ახალი პროექტების დაგეგმვაში (იხ. განხორციელებული და ახალი პროექტები, მასში ჩართული შტატი, ანგარიშები, ა.შ.)
 - სტუდენტთა ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ და სოციალურ საკითხებში მხარდაჭერისთვის თანადგომის არსებულ ინსტრუმენტებს დაემატა კადრი (მარკეტინგის დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი), რომლებიც სტუდენტებთან კომუნიკაციით მათთვის აქტუალურ საჭიროებათა გამოვლენაზე ზრუნავენ.
- ახალბედა პედაგოგებისთვის სამედიცინო განათლებაში სასწავლო კურსის შეთავაზება:

სამედიცინო განათლების ცენტრის ეგიდით კურსები შექმნილია; მათი იმპლემენტაცია ჯერჯერობით დოქტორანტებისთვის მოხდა; იგეგმება (2016-2017 სასწ. წელს) ტრენინგების ჩატარება სხვა შტატისთვის.

ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

ძლიერი მხარეები:

- დტსუ-ში სამედიცინო განათლების ცენტრის დაარსება
- პედაგოგთა გადამზადება სამედიცინო განათლებაში ახალი ტექნოლოგიების (სწავლების, შეფასების) მიწოდებაში, ახალ საგანმანათლებლო რესურსთა შექმნაში
- ადმინისტრაციული შტატის (მართვა, პროგრამის განვითარება, ხუ და ხარისხის შეფასება) პროფესიული ზრდის ხელშეწყობა
- კვლევისა და სწავლებისთვის ასევე სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი ახალი კადრების მოზიდვა და მათთან მუშაობის დაწყება
- პედაგოგთა გადამზადების ახალი კურსის შექმნა

სუსტი მხარეები:

- ახალ სასწავლო ტექნოლოგიებში გადამზადებული კადრის სიმცირე
- ადმინისტრირებასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაში არსებულ კადრებთან არასაკმარისი მუშაობა
- სტუდენტთა თანადგომის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალურ და პროფესიული) სერვისების მუშაობის შეფასებაში ნაკლებ ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენება

განვითარების შესაძლებლობები

- პედაგოგიური კადრის გადამზადებაში არსებული გეგმის სრული მოცულობით იმპლემენტაცია
- ახალ კადრებზე ზრუნვა/სწავლება და საუნივერსიტეტო გარემოსა და მოთხოვნათა ადაპტაციაში ხელშეწყობა
- პედაგოგთა არჩევნებისთვის სათანადოდ მომზადება: (არჩევნების მარეგულირებელი დოკუმენტების რევიზირება), პროცესის სწორი (გაუმჯობესებული) დაგეგმვა და განხორციელება.

V -4. ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის ხარისხი

მიზნის აღწერა:

ხელმძღვანელობაში, მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაში უწყვეტი გაუმჯობესება სტუდენტთა აკადემიურ წარმატებაში გაუმჯობესების, სტუდენტთა და პედაგოგთა კვლევაში ჩართულობის, ასევე პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის. მიზნის მისაღწევი სტრატეგიები ითვალისწინებდა უნივერსიტეტის მართვის, სწავლების ორგანიზების, სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ურთიერთშეთანხმებული ცვლილებების განხორციელებას; ასევე ეფექტური, ანგარიშგებიანი და ტრანსპარანტული ხელმძღვანელობის პრაქტიკის დანერგვას, არსებული სერვისების ეფექტურობის გაუმჯობესებას, სწავლებასა და კვლევაზე ორიენტირებული ბიუჯეტის ყოველწლიურ სტრატეგიულ დაგეგმარებას;

საზოგადოებისთვის სარგებლიანი ეთიკური და პასუხისმგებლიანი საქმიანობის ხელშეწყობას; კერძოდ

- უმაღლესი სასწავლებლის მენეჯმენტის გაძლიერება/გაუმჯობესება: რესურსების, ფინანსების და რისკების სწორ მენეჯმენტზე ზრუნვა; ეფექტური ანგარიშგებიანი და ტრანსპარანტული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა საწესდებო და მარეგულირებელი მოთხოვნების ურთიერთშეთანხმებით.
- სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესება: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამ მხრივ არსებული საუკეთესო გამოცდილების მოძიება იმპლემენტაციის შესაძლებლობაზე ანალიზით; უნივერსიტეტში არსებული სერვისების (ადმინისტრაციის, ბიბლიოთეკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფუნქციონირება) ეფექტურობის გაუმჯობესება.
- ბიუჯეტის ყოველწლიური სტრატეგიული დაგეგმარება: უმაღლესი განათლების (სწავლებისა და კვლევაში მუდმივი გაუმჯობესება) პრიორიტეტებზე გათვლილი ბიუჯეტის შენარჩუნება და მასში აღნიშნულ პრიორიტეტებზე ხარჯების ზრდა.
- უნივერსიტეტის ეთიკური და პასუხისმგებლიანი საქმიანობა დარგისა და მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

1. უმაღლესი სასწავლებლის მენეჯმენტის გაძლიერება/გაუმჯობესება:

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მოხდა უნივერსიტეტში სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები, კერძოდ (i) ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის მმართველი ჯგუფი (დამფუძვნებელი, რექტორი, 2 ვიცე-რექტორის მონაწილეობით), შემუშავდა წესდება, ა. შ. (იხ. შესაბამისი დოკუმენტი); (ii) შეიქმნა უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის და განვითარების სტრუქტურა (ვიცე რექტორი აღნიშნულ დარგში), დაკომპლექტდა კადრებით (იხ. ბრძანება, ა. შ.); (iii) შეიქმნა უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური. გაძლიერდა კადრით სხვა ადმინისტრაციული ერთეულები (მაგ: დეკანატი); (iv) მიმდინარეობს აქტიური რევიზირება საწესდებო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების ეფექტური, ანგარიშგებიანი და ტრანსპარანტული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად (იხ. ხუ-ის, სტრატეგიული მართვის, იურიდიული სამსახურის, სხვა ადმინისტრაციული ერთეულების შესაბამისი სამუშაო დოკუმენტები და/ან ოქმები).

2. სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესება:

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვანია (i) უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-2 მუხლის 3¹-ის მიხედვით ფაკულტეტის წესდების, აკადემიური თვითმართველობის ორგანოების, დეკანისა და რექტორის საბჭოების, დეკანატის, სხვა სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის გაუმჯობესებისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შექმნა და რევიზირება (იხ. სამუშაო დოკუმენტები), რომელიც ფაქტობრივად სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის ახალი (უფრო ეფექტური) პრაქტიკის დანერგვას შეუწყობს ხელს; (ii)

მუდმივად რევიზირდება სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის დოკუმენტი (განხორციელებული ცვლილებების შესახებ მუდმივად ხდება სტუდენტთა ინფორმირება), ხდება მისი ადაპტაცია ეროვნულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და შიდა რეგულაციებთან (იხ. ბრძანებები და/ან განხორციელებული ცვლილებები); (iii) მოხდა არსებული სერვისების (ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები) რესურსებით (კადრი, ტექნიკა, ახალი IT პროგრამები) შესაძლებლობის ფარგლებში შევსება (იხ. ბრძანებები და ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნი).

3. ბიუჯეტის ყოველწლიური სტრატეგიული დაგეგმარება:

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნულმა დაგეგმარებამ ხელი შეუწყო: (i) დროულად (თვეში 2X) აკადემიური შტატის ანაზღაურების უზრუნველყოფა და სალექციო/პრაქტიკული საათების ანაზღაურების ზრდა; (ii) აკადემიური და ადმინისტრაციული შტატის, ასევე სტუდენტთა მეტი რიცხვის დაფინანსება საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობისათვის, ასევე სადოქტორო პროგრამებში უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსური შეღავათებისთვის; (iii) უნივერსიტეტის ჩართულობის (10%-თანადაფინანსება) უზრუნველყოფა 2 საერთაშორისო პროექტში („Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“; „Project Actors Capacity Training in Caucasus“); (iv) საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობათა ხელშეწყობა (საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაფინანსება; „სოლიდარობის ფონდის“ მხარდაჭერა) (იხ. ბრძანებები, დარიცხვები, მემორანდუმები).

4. უნივერსიტეტის ეთიკური და პასუხისმგებლიანი საქმიანობა დარგის და მთლიანად საზოგადოების სასარგებლოდ: (i) უნივერსიტეტი ზრუნავს (აკადემიური პროცესის მიმდინარეობაზე მონიტორინგით სწავლების შეფასების სისტემის სათანადო ორგანიზაციით და ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებით) სამედიცინო დარგის ხარისხიანი კადრით შევსებაზე; (ii) მხარს უჭერს (ფინანსური, სხვა მხარდაჭერა) დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან პროფესიულ ასოციაციათა (საქართველოს სამედიცინო სპეციალობების ასოციაცია; საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია) ფუნქციონირებას, სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობებს (იხ. „სოლიდარობის ფონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, ISE კონფერენციის დაფუძვნება; გასული წლის განმავლობაში ჩატარებული ორი სიმპოზიუმის შესახებ ანგარიშები).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

ძლიერი მხარეები:

- დტსუ-ს მენეჯმენტის გაუმჯობესება ახალი სტრუქტურების ერთეულების დაფუძვნებით და კადრის შევსებით.

- უნივერსიტეტის მართვისა და სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტების მუდმივი რევიზირება და ადაპტირება, ახალ დოკუმენტებზე მუშაობა.
- ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება მაღალი კონკურენციის პირობებში: საქართველოში ამჟამად დიპლომირებული მედიკოსის 23 აკრედიტირებული პროგრამაა; უნივერსიტეტი ოპერირებს ქვეყანაში, რომელიც ფინანსური თვალსაზრისით არ არის ძლიერი (საშუალო შემოსავლების ქვეყანა)
- საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები

სუსტი მხარეები

- ფაკულტეტის ორგანიზაციის, თვითმართველი ორგანოების რეორგანიზაციის პროცესი არ არის დასრულებული.
- მეტი მუშაობაა საჭირო ბაზრის მოთხოვნების შესასწავლად და სათანადო სტრატეგიის შესამუშევრებლად.
- ბიუჯეტის დაგეგმარების ისე უზრუნველყოფა, რათ ის აკადემიური პროცესის (სწავლება და კვლევა) განვითარებაზე იყოს ორიენტირებული: მათ შორის ამ ნაწილში ხარჯების მუდმივი ზრდის შესაძლებლობაზე.

განვითარების შესაძლებლობები:

- დტსუ-ს სტრატეგიული განვითარების და მართვის შემდგომი განვითარება.
- ფაკულტეტის, თვითმართველი ორგანოების რეორგანიზაციის პროცესის დასრულება.
- გაძლიერდეს მუშაობა მომხმარებელთა საკუთრი სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრაზე, კონკურენტული უპირატესობების თვითშეფასებაზე და აღნიშნული საფუძველზე განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე.
- ბიუჯეტის ფინანსური დაგეგმარება უნდა გულისხმობდეს მაღალი ხარისხის აკადემიურ საქმიანობასა და კვლევაზე (უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობა) დაფუძვნებით მიღებულ ფინანსურ მოგებას.

V -5. კოლაბორაცია

მიზნის აღწერა:

ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება და გაზრდა ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე გულისხმობდა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან; სამედიცინო განათლების საკითხებზე და ზოგადად უმაღლესი განათლების საკითხებზე მომუშავე ევროპულ და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობას, ასევე ახალი პარტნიორების მოძიებას; პროფესიულ ასოციაციებსა და განათლებასა და ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ეროვნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა განათლების, სამედიცინო მომსახურების, პროგრამების ხარისხის და სხვ. საკითხებზე.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან:

- დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს რიგ უნივერსიტეტებთან (იხ. გაფორმებული ხელშეკრულებები)
- გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული
 1. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ყოველდღიურ პრაქტიკად გადაქცევის გზაზე:
 - (i) დტსუ-ს კოორდინირებით ერაზმუს+-ის ფარგლებში ერთობლივად განხორციელებულ პროექტში (4 ქართულ უნივერსიტეტთან: თსუ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი); (ii) ახალი პარტნიორული ურთერთობების დაწყება (ნიუ ვიჟენი - ხელშეკრულება გაფორმებულია; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი) (iii) ახალი პროექტების დაგეგმვაში თანამშრომლობა (თსუ, თსსუ), ასევე თანამშრომლობა კონფერენციისა და ვორქშოპის კონტექსტში; (iv) სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა და შეხვედრებში (იხ. ხელშეკრულებები, კონფერენციების ანგარიშები).
 2. უმაღლესი განათლების საკითხებზე მომუშავე ევროპულ და საერთაშორისო სტრუქტურებთან/ინსტიტუტებთან თანამშრომლობა: (i) უნივერსიტეტი აგრძელებს მონაწილეობას და აქტიურ ჩართულობას სამედიცინო განათლების საკითხების ირგვლივ AMEE, AMSE და ORPHEUS-თნ (იხ. შეხვედრების და ჩართულობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტი და ანგარიშები); (ii) უნივერსიტეტი მონაწილეობს EURAS ფორამტის აქტივობებში: შეხვედრებში (იხ. ანგარიშები) ასევე ჟურნალის სარედაქციო მუშაობაში (იხ. ჟურნალი); (iii) ამყარებს ახალ კონტაქტებს: “Research and innovations for healthcare professions professions 2016”, IGHPE (Innovation in Global Health Professions Education (იხ. ანგარიში).
 3. აღრმავებს განათლებისა და კვლევების დარგში საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობას: (i) მუშაობს პარტნიორებთან ახალ პროექტზე (INNODOC-ის ფარგლებში: ნორვეგიის, შვედეთის, დანიის, სერბეთის ა. შ. უნივერსიტეტებთან; CAI CRS-ის ფარგლებში: ჩეხეთის, საბერძნეთის, შვედეთის, მოლდოვას, უკრაინის და ა. შ. უნივერსიტეტებთან. (ii) ურთიერთთანამშრომლობს PhD სტუდენტების ერთობლივ ხელმძღვანელობას, რეცენზირებასა და სხვა საკითხებზე ემორის უნივერსიტეტის, ვაშინგტონის უნივერსიტეტის (აშშ); ყარაგანდის (ყაზახეთი) უნივერსიტეტებსა, პროფესორებსა და დოქტორანტებთან.
 4. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიულ ასოციაციებთან და ჯანდაცვის სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა: ამ მიმართულებით იგი აგრძელებს (გარდა ზ/ აღნიშნულისა) თანამშრომლობას/ამყარებს კავშირებს:
 - საქართველოს სამედიცინო სპეციალობების ასოციაცია
 - საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია
 - ევროპული MD/PhD ასოციაცია

- საქართველოს უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ქსელის ასოციაცია
- ა. შ.
(იხ. ხელშეკრულებები, შეხვედრების ა. შ. ანგარიშები)

5. სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა:

- (i) მუდმივად კოლაბორაციაშია და თანამშრომლობს განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან დიპლომამდელ სამედიცინო და დოქტურანტურის პროგრამებთან მიმართებაში (იხ. მათ შორის რექტორის საბჭოს, ხუ ოქმები, სათანადო ანგარიშები).
- (ii) მუდმივად კოლაბორაციაშია და თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტროსთან: სარეზიდენტო პროგრამებთან მიმართებაში (იხ. სარეზიდენტო პროგრამები), ასევე ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითარების საკითხებთან მიმართებაში (იხ. უნივერსიტეტის ჩართულობა დაავადების კონტროლის ეროვნულ ცენტრთან).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს ეროვნულ დონეზე უნივერსიტეტთა, სახელმწიფო და სხვა სტრუქტურებთან ინსტიტუციურ, პროფესიულ, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტთა ჩართულობას.
- აგრძელებს საერთაშორისო და ევროპულ სტრუქტურებში დტსუ და ეროვნულ წარმომადგენლობას და მათ მუშაობაში ჩართულობას.
- განათლების საკითხებზე უწყვეტ კოლაბორაციაშია ეროვნულ, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან.

სუსტი მხარეები:

- საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა უფრო პროექტების ირგვლივ მიმდინარეობს;
- დტსუ-ს მეტი ინიციატივა მართებს სამედიცინო განათლების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ეროვნულ დონეზე მათთან თანამშრომლობისთვის: საკითხები გულისხმობს (არ არის ლიმიტირებული) დარგობრივი სტანდარტის რევიზირების საკითხებს, დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის, სამედიცინო განათლებაში სწავლების ახალი მეთოდოლოგიების, ა. შ. საკითხებს.

განვითარების შესაძლებლობები:

- ქართულ უნივერსიტეტებთან მეტი თანამშრომლობა ახალი ერთობლივი განვითარებასა და კვლევებზე ორიენტირებული პროექტების შესამუშავებლად.
- ქართულ და სხვა უნივერსიტეტებთან კოლაბორაცია სამედიცინო განათლების ხარისხის შეფასების და აკრედიტაციის ერთიანი სტანდარტების, პროცედურების, შტატის განვითარების, სხვა აქტივობებზე.
- სამედიცინო განათლებაში კვლევებისა და პროგრამების, მათი ხარისხის განვითარების კუთხით საერთაშორისო/ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება

V -6. ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება

მიზნის აღწერა

ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება ადექვატური ფინანსური სტრატეგიების შემუშავებით, ტრენირებული მენეჯერების მოზიდვითა და უნივერსიტეტში ბიზნეს-პროცესების მოდერნიზებით სწორი, ხარჯთ-ეფექტური ფინანსური გარემოს უზრუნველყოფით. ამ კუთხით უნივერსიტეტის სტრატეგიები უნდა ეფუძვნებოდეს არსებული პროგრამების ხარისხის მიმართულებით განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მაღალი კონკურენციის პირობებში (საქართველო) სტუდენტთა ადექვატური რიცხვის მიღებას, აბიტურიენტთა კონკურენციას (მათგან უფრო მაღალი მომზადების მქონე არჩევანის შესაძლებლობას), რასაც თავის მხრივ გავლენა აქვს კურსდამთავრებულთა ხარისხზე, შემდგომი კარიერული ზრდის შესაძლებლობაზე; რაც ასევე აისახება უნივერსიტეტის იმიჯზე, მომავალი აბიტურიენტების არჩევანზე, მიწოდებული პროგრამის განფასებასა და საბოლოო ჯამში ფინანსურ მდგრადობაზე.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

1. ფინანსური მდგრადობა და შესაძლებლობათა ზრდა ადექვატური ფინანსური სტრატეგიების შემუშავებით:
 - დიპლომირებული მედიკოსის და სადოქტორო პროგრამების განვითარებისთვის ევროპული გრანტებით მიღებული (და უნივერსიტეტის მიერ კო-ფინანსირებული) ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც აისახა აკადემიურ და ადმინისტრაციული შტატის ხარისხზე, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასა (სამედიცინო ცენტრის დაფუძვნებასა და მის ფუნქციონირებაზე) საჭირო ინფრასტრუქტურასა, ა. შ. და პროგრამათა ხარისხზე გრძელვადიანი პერსპექტივით; რამაც გაზარდა მათი

(პროგრამათა) კონკურენტუნარიანობა; და მათ შორის „მიმზიდველი“ გახადა ისინი აბიტურიენტათვის.

- უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება (მათი ხარჯთეფექტურობა მომავალში დაკვირვებასა და მონიტორინგს საჭიროებს).
- უმაღლეს სასწავლებელში მეტი სტუდენტის (მათ შორის უცხოელი ≈ ნახევარია) მოზიდვის შესაძლებლობა და შემოსავლების ზრდა (მათ შორის მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდის შესაძლებლობითა და უნივერსიტეტის სხვა სარგებლისთვის (იხ. სტუდენტთა რესურსი).

1) ფინანსური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით გრანტების მოპოვებაზე მუშაობა:

- პროექტის წერისა და დიზაინის კურსის შექმნა და პილოტირება („Project Actors Capacity Training in Caucasus“ პროექტი); პროექტებზე სამუშაო ჯგუფების შექმნა.
- ახალ საპროექტო განაცხადებზე მუშაობა (იხ. INNODOC, CAI-CRS).

2) ფინანსური მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება:

- წლიური ფინანსური დაგეგმარება და ანგარიშგება

ჩატარებული აქტივობების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერება და მასზე ზრუნვა
- უნივერსიტეტის მხრიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეული ხარჯები (მონიტორინგს საჭიროებს)
- უნივერსიტეტის მხარდაჭერა და კო-ფინანსირება საერთაშორისო პროექტებში
- უნივერსიტეტის მხარდაჭერა და შტატის სტიმულირება ახალი, განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების შექმნაში
- უნივერსიტეტის მხრიდან, საინფორმაციო და სხვა აქტივობებით, უცხოელი აბიტურიენტების მოზიდვა და მათ პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა.

სუსტი მხარეები:

- ადექვატურად (ვისაც ესმის საქმიანობის კონტექსტი: უნივერსიტეტი) ტრენინგული მენეჯერების სიმწირე
- ფინანსური რისკების განსაზღვრის და დაგეგმვის პრობლემა
- სწორი (უნივერსიტეტის კონტექსტისთვის), (მათ შორის რისკების მართვის შესაძლებლობაზე გათვლილი ხარჯთ-ეფექტური), გათვლილი ფინანსური სტრატეგიის არ არსებობა.

განვითარების შესაძლებლობები:

- გრანტების მომზადებასა და განხორციელებაზე მეტი ფოკუსირება გრძელვადიან- და მოკლე- ვადიანი ფინანსური სტრატეგიების დაფუძვნება უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის (აკადემიური და კვლევითი) ხარისხზე
- სწორად განსაზღვრული სტრატეგიების ეფექტურად განხორციელების (ფინანსური რესურსების სწორი განაწილება, აკადემიური და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრა და მუდმივი რევიზირება) შესაძლებლობათა ზრდა.

V – 7. ინფრასტრუქტურა და გარემო

მიზნის აღწერა

უნივერსიტეტის სასწავლო გარემოს, სასწავლო-საინფორმაციო ბაზის განვითარება, რაც გულისხმობდა მიუხედავად ლიმიტირებული ფინანსური რესურსისა მათ ეფექტურ გამოყენებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ელექტრონული და წიგნადი ფონდის მუდმივ შევსებასა და განახლებას; უნივერსიტეტის აუდიო-ვიზუალური, კომპიუტერული და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდმივ განვითარებას.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტმა განახორციელა რეორგანიზაცია ტექნიკური აღჭურვილობის მიმართულებით:

- 1) კომპიუტერული და ქსელური ინფრასტრუქტურა - შეძენილ იქნა სასწავლო პროცესისთვის (კლასები, ბიბლიოთეკა, აუდიტორია, საგამოცდო ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი, ა. შ.) პერსონალური კომპიუტერები, უწყვეტი კვების წყაროები, პრინტერები, პროექტორები, ლეპტოპები (იხ. სასაქონლო ზედნადებები და ინვენტარიზაციის წიგნი).
- 2) სასწავლო ოთახების განახლება-გარემონტება:
 - გასულ საანგარიშო პერიოდში, ყოველწლიურად ხდებოდა განახლება, შეფასება და გარემონტება არსებული სასწავლო ბაზის (იხ. უნივერსიტეტის სასწავლო ბაზა).
- 3) ფონდების მოძიება თანამედროვე საუნივერსიტეტო გარემოს შესაქმნელად:
 - უნივერსიტეტმა ერაზმუს+ ფარგლებში განხორციელებული პროექტების მეშვეობით უზრუნველყო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული განვითარება, კერძოდ 66500 ევროს ღირებულების პროექტორები, სკანერი, სერვერი, პრინტერები, ვიდეოკამერა, პროგრამები, ა. შ. იქნა შეძენილი, დამონტაჟებული და ოპერირებს; ასევე შეიქმნა (უნივერსიტეტის

მხარდაჭერით) სამედიცინო განათლების ცენტრი და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის (კდს) გარემონტდა სათანადო ფართი (იხ. სასაქონლო ზედნადებები და ინვენტარიზაციის წიგნი).

- სასწავლო და კვლევითი გარემოს გასაძლიერებლად დადო რიგი ხელშეკრულებები (იხ. ხელშეკრულებები).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

ძლიერი მხარეები

- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები, აღჭურვილობის, მასალების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით, საკმარისია.
- საინფორმაციო ბაზის და კომპიუტერული ქსელური ინფრასტრუქტურა საკმარისია.

სუსტი მხარეები:

- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი მეტ შევსებას საჭიროებს.

განვითარების შესაძლებლობები

- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის შევსებისთვის სჭროა ახალი სტრატეგიების შემუშავება (პროგრესული ბიუჯეტირება დაწესებულების მოგებაში ფიქსირებული წილის განსაზღვრით).
- საინფორმაციო და ქსელური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება.
- სასწავლო და კვლევით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საკუთარი (უნივერსიტეტის ბიუჯეტი), ახალი პროექტების და ახალი პარტნიორული (კვლევისა და სწავლებაში) ურთიერთობის მოძიებითა და განხორციელებით.

V – 8. სტუდენტთა ჩართულობა/მონაწილეობა

მიზნის აღწერა:

სასწავლო ცხოვრებაში სტუდენტების ჩრთვის და აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა; მიზნის მისაღწევი დაგეგმილი სტრატეგიების მიხედვით ეს გულისხმობდა სტუდენტთა ჩართულობას უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში აკადემიური და კვლევით პროცესების რევიზირების, ხუ-ის, პროგრამათა და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებაში მონაწილეობის, განათლებისა და საუნივერსიტეტო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ მათ ინფორმირების; ასევე სტუდენტური ორგანიზაციების და ცალკეულ სტუდენტთა ხელშეწყობა მათ საგანმანათლებლო, კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობები:

1) უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში სტუდენტთა ჩართვა:

- დიპლომირებული მედიკოსის რევიზირების, ხუ-ის და ხარისხის შეფასების ჯგუფებში მათ ჩართლობა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (იხ. პროგრამის განვითარების ჯგუფის, ხუ-ის ჯგუფის ოქმები).
- სასწავლო გარემოს შეფასებაში მუდმივი ჩართლობა/სტუდენტური აზრის კვლევა (იხ. სათანადო ანგარიშები).
- ახალი სასწავლო კურსების შეფასებაშიმათ ჩართულობა (იხ. სტუდენტთა კვლევის სათანადო თვითშეფასების ანგარიშები).
- სტუდენტთა ჩართლობა (მათ აზრის კვლევა) სასწავლო კურიკულუმში სამედიცინო დარგისთვის მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავების „დონის“ და „ადგილის“ შესახებ (იხ. 2014-2015 და 2015-2016 სასწ. წლის ანგარიშები)

2) სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაში სტუდენტთა როლის ამაღლება:

- სტუდენტთა ჩართულობა რექტორის საბჭოს საქმიანობაში (იხ. რექტორის საბჭოს შემადგენლობა და ოქმები).
- სტუდენტთა თვითმართველი ორგანოების არსებობა - დტსუ თვითმართველობა, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო ასოციაცია და მათ მიერ განხორციელებული აქტივობები და კონფერენციები.
- სტუდენტთა თვითმართველი ორგანიზაციების მარეგულირებელი დოკუმენტების, დებულებების, არჩევის წესების მიდიანრე რევიზირება უნივერსიტეტის ცხოვრებაში მეტი სტუდენტის ჩართლობის უზრუნველსაყოფად (იხ. აღნიშნული დოკუმენტების სამუშაო ვერსიები). და მათ შორის აღნიშნული სტუდენტური ორგანიზაციების როლის გასაზრდელად საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

3) უნივერსიტეტის მიერ სტუდენტური თვითმართველობის, „თანასწორთა თანადგომის სასწავლო ცენტრის“, ხელშეწყობა; ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მათი (სტუდენტური კავშირების)

შენარჩუნების/განმტკიცების/განვითარების ხელშეწყობა:

- უნივერსიტეტი მხარში უდგას (ფინანსურად) სტუდენტური თვითმართველობის ღონისძიებებს (იხ. ანგარიშები)
- აფინანსებს და საორგანიზაციო საქმეში ეხმარება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებს (იხ. ანგარიშები).
- ხელს უწყობს სტუდენტთა ინდივიდუალურ (კვლევითი მიზნებისთვის, კონფერენციებზე და ვირქშოპებში მათ მონაწილეობას, საზოგადოებრივ აქტივობას) აქტივობას (იხ. დაფინანსებული და თანადაფინანსებული პრეზენტაციები საზღვარგარეთ).
- ხელს უწყობს (მათ შორის ფინანსურად) სტუდენტთა „საქარელოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციას“

- ხელს უწყობს “MD/PhD ევროპულ ასოციაციას“ ????
- ყოველწლიურად უზრუნველყოფს დოქტორანტთა მონაწილეობას გრადუც კრავლოვში (ჩეხეთი) PhD სტუდენტთა ევროპულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

ჩატარებული აქტივობების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- სასწავლო პროგრამების ორგანიზებასა და მართვაში (რიგ სტრუქტურულ დანაყოფებში: რექტორის საბჭო, ხუ-ის სამსახური) სტუდენტთა ჩრთვა.
- სტუდენტურ (ყოველწლიურ) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაში ხელშეწყობა.
- სტუდენტთა ჯგუფური და/ან ინდივიდუალური აკადემიური, კვლევით და საზოგადოებრივი აქტივობების ხელშეწყობა.
- სტუდენტთა საერთაშორისო კავშირების ხელშეწყობა
- სტუდენტთა აზრის მუდმივი კვლევა სასწავლო გარემოს, პროგრამის, ცალკეული კურსების, კურიკულუმის ფარგლებში გამოსამუშავებელი უნარების ირგვლივ პროგრამათა გაუმჯობესების მიზნებისთვის.

სუსტი მხარეები:

- სტუდენტურ თვითმმართველობების ინსტიტუციური „სისუსტე“, მასში აქტიურად ჩართლი სტუდენტების არასაკმარისი რიცხვითა და „ბუნდოვანი“ წარმოდგენით მედიცინის სტუდენტისთვის რელევანტური აკადემიურ-კვლევით და საზოგადოებრივი აქტივობების (ასევე მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყანაში არსებული პროფესიული და სხვა ასოციაციების და კავშირების „სისუსტით“).

განვითარების შესაძლებლობები

- დღეს მართვისა და ორგანიზების პროცესებში სტუდენტთა თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- ინსტიტუციურად ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- პროგრამათა განვითარების მიზნებისთვის სტუდენტური აზრის კვლევის არსებული ინსტრუმენტების შენარჩუნება და ახალი კიდევ უფრო ეფექტური ხერხების მოძიება.

V – 9. გამოცდილების ინტერნაციონალიზაცია

მიზნის აღწერა:

ინტერნაციონალურ კულტურულ დიალოგში ჩართვის ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი (მათ შორის მედიცინის სტუდენტისთვის) თანამედროვე ცხოვრებაში განსხვავებული იდეების, კულტურების გასაზიარებლად და გამოცდილების შესაძენად; მიზნის სტრატეგიები ასევე გულისხმობდა საგანმანათლებლო და კვლევით კოლაბორაციას მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე დტსუ კურსდამთავრებულებთან; კარგი საბაზისო ცოდნის უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და მათ ინტეგრირებას სასწავლებლის ცხოვრებაში; სტუდენტების ხელისშეწყობას საზღვარგარეთ სასწავლო კურსების გარკვეული რიცხვის გავლაში.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების ანალიზი:

- 1) სტუდენტთა ინტერნაციონალურ კულტურულ დიალოგში ჩართვის ხელშეწყობა
 - უცხოელი და ქართველი სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობა სტუდენტურ ორგანიზაციებში
 - უცხოელი და ქართველი სტუდენტების ერთობლივი ორგანიზებითა და ჩართულობით სტუდენტთა კონფერენციებსა და სხვ. სტუდენტურ აქტივობებში
 - სტუდენტთა ხელშეწყობა საზღვარგარეთ გარკვეული სასწავლო კურსების, ტრენინგების გავლასა და კონფერენციებში მონაწილეობისთვის
- 2) საგანმანათლებლო და კვლევითი კოლაბორაცია, მათ შორის საზღვარგარეთ მოღვაწე დტსუ კურსდამთავრებულებთან:
 - კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა
 - უნივერსიტეტის პედაგოგთა და სტუდენტთა (PhD) კოლაბორაცია ევროპულ ანალოგიური მიზნების (განათლება, კვლევა) ორგანიზაციებთან
- 3) კარგი საბაზისო ცოდნის მქონე უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მათი ინტეგრირება სასწავლო ცხოვრებაში:
 - დეკანის მიერ აბიტურიენტთა მონაცემების რევიზირება პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობის განსაზღვრისთვის
 - დტსუ სტუდენტურ ორგანიზაციებში უცხოელი და ქართველი სტუდენტების თანამონაწილეობა
 - უნივერსიტეტის ღონისძიებებში (კონფერენციები, დისკუსიები, სხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებები) ქართველი და უცხოელი სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობა
 - ქართული ენის სავალდებულო კურსი უცხოელთა საგანმანათლებლო პროგრამებში
- 4) დტსუ სტუდენტების საზღვარგარეთ გარკვეული სასწავლო კურსების გავლაში ხელშეწყობა:
 - არჩევითი კურსის ფარგლებში დტსუ სტუდენტთა მიერ კლაიპედას საუნივერსიტეტო კლინიკაში სასწავლო კურსის/კურსების გავლის შესაძლებლობა

- ევროპისა და აშშ საუნივერსიტეტო (და ან სასწავლო) კლინიკებში კლინიკური კურსების/ტრენინგების გავლაში სტუდენტთა სასწავლო-ორგანიზაციული ხელშეწყობა

ჩატარებული აქტივობების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა
- უცხოელი სტუდენტების პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების დახვეწა
- უცხოელი და ქართველი სტუდენტების სტუდენტურ ორგანიზაციაში თანამშრომლობის უზრუნველყოფა
- უცხოელი და ქართველი სტუდენტების სტუდენტურ და უნივერსიტეტის სხვა აქტივობებში ერთობლივი მონაწილეობის ხელშეწყობა
- სტუდენტების მხარდაჭერა რიგი სასწავლო კურსების გავლაში საზღვარგარეთ.

სუსტი მხარეები

- კურსდამთავრებულთა კლუბთან მუდმივი თანამშრომლობის არ არსებობა და მათი ნაკლები ჩართულობა დტსუ საქმიანობაში (აკადემიური და კვლევითი)
- სტუდენტთა სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის სტუდენტთა გაცვლის (ერაზმუს+ ფარგლებში) პროგრამებში უნივერსიტეტი არ არის ჩართული

განვითარების შესაძლებლობები

- კურსდამთავრებულთა მუდმივი თანამშრომლობის (მათ უნივერსიტეტის აკადემიურ/კვლევით აქტივობებში) განვითარების ეფექტური მექანიზმების მოძიება
- ერაზმუს+ ფარგლებში სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა
- უცხოელ სტუდენტთა მეტი ინტეგრაცია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში (ეფექტური მექანიზმების/ფორმების შემუშავება და დანერგვა).

V – 10. საზოგადოებასთან ურთიერთობები

მიზნის აღწერა

საზოგადოებისთვის სამსახური ცხოვრების ხარისხის, კულტურული სიძლიერის და ინტელექტუალური კაპიტალის ზრდა, რაც გულისხმობდა შემდეგი სტრატეგიების

რეალიზაციას: საზოგადოებისთვის აქტუალური სამედიცინო საკითხებზე პროფესიულ ასოციაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და მასში ასევე სტუდენტების ჩართულობას; სამედიცინო განათლების და ზოგადად, ხარისხიანი განათლების საკითხებზე დაინტერესებულ ჯგუფებთან მუშაობას; სამედიცინო საქმიანობისა და განათლების დარგში ეთიკური ღირებულებების დაცვაზე ზრუნვას.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

1) დაინტერესებული ორგანიზაციების მოძიება:

- უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას რიგ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან (სამედიცინო სპეციალობების ასოციაცია, ქართულ უნივერსიტეტებსა და დამსაქმებელთან); ამყარებს თანამშრომლობას ახალ პარტნიორებთან (საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია, MD/PhD ევროპულ ასოციაცია, სხვა ეროვნული არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები) მათ ღონისძიებებს და/ან ერთობლივ ღონისძიებებში თანამშრომლობის ფორმატით (იხ. ანგარიშები, პრეზენტაციები).
- უნივერსიტეტი იწვევს პარტნიორებს საკუთარ ღონისძიებებზე (ISE კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები), ახალი პარტნიორული ურთიერთობისთვის.
- სოციალურად აქტუალურ საკითხებზე გამართული დისკუსიები:
- უნივერსიტეტის პროფესურა მონაწილეობს სამედიცინო თემებსა და სოციალურად აქტუალურ საკითხებზე მასობრივ-საინფორმაციო საშუალებებში (პაციენტთა და/სხვა შეზღუდული შესაძლებლობის პირთთვის აწყობენ ღონისძიებებს).
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მუდმივ ფინანსურ შემწეობას ეწევა ფონდებისთვის („საქართველოს სოლიდარობის ფონდი“ და საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი „კათარზისი“).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის დამფუძნებლის ადმინისტრაციისა და აკადემიური საზოგადოების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები) მხრივ საზოგადოებასთან ურთიერთობის (განათლება, მედიცინა, ხარისხი, ეთიკური ღირებულებები) საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერება და მუდმივი ზრუნვა.

განვითარების შესაძლებლობები:

- საზოგადოების განვითარებაში მეტი წვლილის შეტანის შესაძლებლობების ანალიზი; აქტივობათა სწორი დაგეგმარება.
- დაინტერესებულ ჯგუფებთან (ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები) თანამშრომლობა და ფართო საზოგადოებრივი სარგებლის მოტანაში ლიდერობა.

V - 11. ეროვნულ საერთაშორისო დონეზე პოზიციების დამკვიდრება

მიზნის აღწერა:

ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მაღალი ხარისხის უნივერსიტეტის რეპუტაციის მოპოვებისთვის დაგეგმილი სტრატეგიები გულისხმობდა უმაღლეს სასწავლებელზე ყოველწლიურად განახლებადი საინფორმაციო პაკეტის მომზადებას, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მობილობის ხელშეწყობის ასევე ადგილობრივ და მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცესა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე შემდგომი დასაქმებისთვის დიპლომის დანართის იმგვარ მომზადებას, რომელიც ასახავდა საგანმანათლებლო პროგრამის რეალურ ხარისხს და დააკმაყოფილებდა მის ფორმალურ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან; ასევე მიზნის მისაღწევი მნიშვნელოვანი სტრატეგიები გულისხმობდა საგანმანათლებლო ინსტიტუციების გლობალურ/საერთაშორისო ქსელებში უმაღლესი სასწავლებლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და მათ მუშაობაში ჩართულობას; სტუდენტთა და პედაგოგთა კვლევითი ნაშრომების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წარდგენის, ასევე სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობას მაღალი რეპუტაციის უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში მივლინებისთვის ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული აქტივობების აღწერა:

- 1) ყოველწლიურად განახლებადი საინფორმაციო პაკეტის მომზადება:
 - უნივერსიტეტის ახალი ვებ-გვერდის ქართლ-ინგლისურ ენაზე, რომელიც ასახავს უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობას, ინფრასტრუქტურას, პროგრამებს, ადმინისტრირების პროცედურებს (იხ. ვებგვერდი)
 - შეიქმნა რიგი საინფორმაციო რგოლები უნივერსიტეტზე, მის საგანმანათლებლო პროგრამებზე ფართო აუდიტორიისთვის (იხ. ვიდეო-რგოლები)
 - უნივერსიტეტმა დააფუძვნა ყოველწლიური კონფერენცია (ISE), ჩატარა ორი სიმპოზიუმი ამ კონფერენციის ფარგლებში ფართო აკადემიური საზოგადოებისთვის (ეროვნული და საერთაშორისო მონაწილეობით) (იხ. კონფერენციის მასალები და ანგარიშები)
- 2) დიპლომის დანართში (დამატებითი ინფორმაციის ნაწილში) სტუდენტთა სწავლის შედეგების, ინდივიდუალური აქტივობების მაქსიმალურად ზუსტი აღწერა:
 - დტსუ-ს კურსდამთავრებულის დიპლომი (მისი დანართით) მისაღებია მათ ნებისმიერი (რა ქვეყნებზეც იყო ასეთი გამოცდილება) ქვეყნის სარეზიდენტო პროგრამებში და სხვა პოსტდიპლომურ პროგრამებში ჩასართველად.
- 3) დტსუ-ს ჩართვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების საერთაშორისო ქსელებში:
 - დტსუ-ს ჩართულობა AMEE, AMSE, ORPHEUS-ში
 - დტსუ-ს მონაწილეობა EURAS ფორმატში (იხ. ვებგვერდი)

- დტსუ-ს მონაწილეობა საგანმანათლებლო გამოფენებში (ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე) (იხ. ანგარიშები)
 - დტსუ-ს ჩართვა IGHPE (Innovation in Global Health Professions Education) ქსელში??, ასევე მონაწილეობა MEFANET და სხვა აკადემიურ და კვლევით აქტივობებზე ორიენტირებულ პლატფორმებში (იხ. სათანადო ანგარიშები)
- 4) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში, ასევე მათ მობილობის (საერთო დონეზე) ხელშეწყობა:
- დტსუ აგრძელებს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ხელშეწყობას და დაფინანსებას კვლევების, პრეზენტაციებისა და ტრენინგებში მონაწილეობისთვის (იხ. შესაბამისი ონფერენციის მასალები, ანგარიშები)
 - უკვე ტრადიციად დამკვიდრებული სტუდენტთა მონაწილეობა:
 - ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კონფერენცია (International medical Postgraduate Conference, New Frontes in the Research of PhD Studetnts, Charles University in Prague, Faculty of Medicine in Hradec Kralove)
 - ვაქცინოლოგიის საზაფხულო სკოლა (The [Centre for the Evaluation of Vaccination \(CEV\)](#) of the University of Antwerp and EMSA Antwerp, (European Medical Students Association of Antwerp))
 - საერთაშორისო ბიოეთიკის საზაფხულო სკოლა, დუბროვნიკი, ხორვატია (Dubrovnik International Bioethics Summer School – DIBSS)
 - სიმპოზიუმი მოლეკულურ მედიცინაში, კიოლნი, გერმანია (Ernst Klenk Symposium In Molecular Medicine, Cologne, Germany)

ხელს უწყობს წარმატებულ სტუდენტებს ცალკეული სასწავლო კურსების გავლაში (იხ. Learning Agreement-ები და სტუდენტთა პირადი საქმეები).

ჩატარებული აქტივობების ანალიზი

ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტის ახალი ვებგვერდი
- ყოველწლიურად განახლებადი საინფორმაციო პაკეტის (უნივერსიტეტის შესახებ) მომზადების აუცილებლობის გაცნობიერება და გარკვეული საინფორმაციო რგოლების მომზადება
- ISE კონფერენციის დაფუძვნება და 2 ჩატარებული სიმპოზიუმი
- დიპლომის დანართზე (ნაწილში სტუდენტის ინდივიდუალური აქტივობა და მიღწევები) ჩატარებული მუშაობა

- დტსუ-ს ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციების გლობალურ ქსელებსა და აკადემიურ კვლევით აქტივობაზე ორიენტირებულ პლატფორმებში
- დტსუ მონაწილეობა საგანმანათლებლო გამოფენებში
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა ხელშეწყობა და დაფინანსება კვლევების პრეზენტაციებსა და ტრენინგებში

განვითარების შესაძლებლობები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდის საინფორმაციო ხარისხის და დიზაინის გაუმჯობესება
- ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის (ISE) ხარისხის გაუმჯობესება, მასში საერთაშორისო და ეროვნული წარმომადგენლების რიცხვის ზრდა.
- დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების (პედაგოგი, სტუდენტი) წარმომადგენლობიდან მეტი რაოდენობის აქტივობათა დაფინანსება
- ახალ საგანმანათლებლო ქსელებში ჩრთვა, უკვე არსებული კომუნიკაციების ინტენსიფიცირება
- ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე პოზიციების დასამკვიდრებლად ახალი სტრატეგიების შემუშავება.

V – 12. ხარისხის კულტურა

მიზნის აღწერა

ხარისხის კულტურის დანერგვასა და ზრუნვის ნაწილში უნივერსიტეტი გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ინტეგრირებას სტრატეგიულ დაგეგმარებასთან; ხოლო მისი განხორციელების სტრატეგიებში: (i) გაცნობიერებას, რმ უმაღლეს სასწავლებელში განათლების ხარისხის განვითარებაზე, შენარჩუნებასა და განვითარებაზე პასუხისმგებლობა უპირველეს ყოვლისა ეკისრება უნივერსიტეტის პერსონალს (პროცესში სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პირობით); (ii) არსებული საერთაშორისო გამოცდილებიდან საუკეთესო ინფორმაციის და საკუთარი მუშაობის ანალიზი უმაღლეს განათლებაში გარანტირებულად უზრუნველყოფილი ხარისხის შემადგენელი კომპეტენციების განსასაზღვრად, და (iii) შესაბამის საშუალებათა არსენალის შემუშავებას პროგრამის ხარისხის განვითარებისთვის ფართო ევროპულ კონტექსტში; ასევე გულისხმობს (iv) სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთდობის განმტკიცება კვალიფიკაციათა და სწავლების პერიოდების აღიარებისთვის.

მიზნის მისაღწევად ჩტარებული აქტივობების აღწერა

- 1) ზრუნვა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ ზრდაზე:
 - სამედიცინო განთლებლის ცენტრის დაფუძვნება და მისი საქმიანობა, შემუშავებული კურსები (იხ. სამედიცინო განათლების დებულება, სტრატეგიული გეგმა და სასწავლო კურსის სილაბუსები)
 - სწავლებასა და ადმინისტრირებაში კადრის ზრდა მათი სამედიცინო განათლების საკითხებში კვლევების ხელშეწყობითა და საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორქშოპებში (იხ. სათანადო ანგარიშები და კონფერენციის მასალები)
 - დტსუ აკადემიური და ადმინისტრაციული შტატის ჩართულობა ერაზმუს+-ის დაფინანსებულ პროექტებში (იხ. „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“; „Project Actors Capacity Training in Caucasus“ პროექტები, მათში დტსუ აკადემიური და ადმინისტრაციული შტატის მიერ შესრულებული სამუშაოები, პროექტების შედეგები, შეფასება, გამოცდილების შეძენის ამსახველი მასალები)
 - დტსუ-ს ადმინისტრაციული/აკადემიური შტატის ხელშეწყობა ახალი პროექტების წერაში (INNODOC, CAI-CRS-ის საპროექტო განაცხადებები)
- 2) სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში, ახალი პროგრამების შემუშავებაში ჩართულობა:
 - დტსუ-ს აკადემიური შტატის, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების ჩართულობა (უკვე ტრადიციად ქცეული) ხარისხის შეფასების ჯგუფში (იხ. საანგარიშო პერიოდის თვითშეფასების ანგარიშები)
 - დტსუ-ს აკადემიური/ადმინისტრაციული და სტუდენტთა წარმომადგენლობის ჩართვა კურიკულუმის განვითარების ჯგუფში (იხ. „კურიკულუმის განვითარების ჯგუფის“ ოქმები)
 - დტსუ-ს PhD წარმომადგენელთა ჩართულობა ORPHEUS (Organization of PhD Education in Biomedicine and Health Sciences in the European System)-ის ფარგლებში PhD პროგრამის ხუ-ის სტანდარტის განვითარების საერთაშორისო ჯგუფში (იხ. 10th ORPHEUS Conference, 2015 ანგარიში)
 - სტუდენტების მონაწილეობა (სტუდენტთა აზრის კვლევა საგანმანათლებლო გაერმოზე, სასწავლო კურსებზე, კლინიკური უნარების გამომუშავებასა და სხვა), მათ გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაფუძნებული პროგრამათა მოდიფიკაციის გეგმის/ების შესამუშავებლად
- 3) განათლების ხარისხის ასპექტები/კრიტერიუმები, მათ უზრუნველყოფის გზები და შეფასების მეთოდები:
 - დიპლომირებული მედიკოსის და სადოქტორო პროგრამათა შეფასების/თვითშეფასების სახელმძღვანელოს შემუშავება და ჩატარებული ყოველწლიური ანგარიშები
 - საერთაშორისო პროექტის („Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“) ფარგლებში დტსუ-ს წარმომადგენელთა მიერ ხარისხის შეფასების (მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის) გეგმის შემუშავება (იხ. e-PBL-net პროექტში 5.3. Quality Control Report).

- 4) ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაფართოება უმაღლესი სასწავლებლის ფორმალურ სტრატეგიულ დაგეგმვის პროცესთან კავშირში:
 - ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის განხორციელებული სამუშაოს ანალიზი (იხ. წინამდებარე ანგარიში და სტრატეგიული გეგმა)
- 5) განათლების ხარისხის საკითხებზე ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტებთან, დაინტერესებულ ინსტიტუციებსა და ასოციაციებთან ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე:
 - უნივერსიტეტი ურთიერთობები AMEE, AMSE, ORPHEUS ფორმატში (იხ. ანგარიშები; ასევე წინამდებარე დოკუმენტი)
 - უნივერსიტეტის მუდმივი ურთიერთობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან; მათ შრი მათ მოთხოვნების შესაბამისად უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებები და მარეგულირებელი დოკუმენტების რევიზირება ადაპტაციის მიზნით
 - უნივერსიტეტის მიერ სამედიცინო განათლების (და ზოგადად უმაღლესი განათლების) საკითხების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე „დისკურსისთვის“ ISE კონფერენციის დაფუძვნება, 2015 და 2016 წელს ჩატარებული სიმპოზიუმები.

ჩატარებული აქტივობების ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- სამედიცინო განათლების ცენტრის დაფუძვნება უნივერსიტეტში აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში ხარისხის კულტურის დანერგვის სტრატეგიის და განვითარების მიზნით
- ხარისხის კულტურის საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერება და პროცესის ინტეგრირება მომავალ სტრატეგიულ დაგეგმარებასთან
- სამედიცინო განათლების საკითხებზე პროფესიულ ასოციაციებთან (დარგში ექსპერტული საზოგადოებები - AMEE, AMSE, ORPHEUS) უწყვეტი თანამშრომლობა
- სამედიცინო განათლების განვითარებაზე გამიზნულ პროექტებში მონაწილეობა და მასში დტსუ შტატის, სტუდენტების ჩართლობა
- სამედიცინო განათლებაში (მათ შორის PhD კვლევები) კვლევების წარმოება და სამედიცინო განათლებაში ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებზე მონაწილეობა (იხ. PhD პროექტები, გამოქვეყნებული კვლევები)
- აკადემიური სტანდარტების გაუმჯობესება უმაღლეს განათლებაში - ყოველწლიური კონფერენციის დაფუძვნება

განვითარების შესაძლებლობები

- ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება დტსუ-ში ხარისხის არსებულ სტანდარტებზე დაფუძნებით და მათი შმედგომი განვითარების შესაძლებლობებით
- დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების (პედაგოგები, სტუდენტები) განვითარება და მეტი პროფესიონალიზაცია სამედიცინო განათლების საკითხებში
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების (უსგ-ის) ხარისხი უზრუნველყოფის/განვითარების საკითხთა შესახებ თანამშრომლების გაგრძელება
- სამედიცინო განათლებაში დტსუ-შ არსებული კვლევითი პოტენციალის ზრდა და ახალი კვლევების დაგეგმვა
- პროგრამათა საერთაშორისო აკრედიტაციის მიზნებისთვის სამუშაო ფორმატის შექმნა და სტრატეგიული პარტნიორების (ქვეყნები/უნივერსიტეტები) ჩართვა.